

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ალექსანდრე ლილუაშვილს
საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარის გიგა გოგიბერიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმით დამტკიცებულია შემდეგი საკითხები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2020 წლის სამუშაო გემის განხილვა-დამტკიცება. (იანვარი)
2. ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. (თებერვალი)
3. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების განხილვა. (თებერვალი - მაისი)
4. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა. (მარტი- აპრილი)
5. სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიმდინარე ანგარიშის მოსმენა. (ივნისი - დეკემბერი)
6. ზედამხედველობის სამსახურის მიმდინარე ანგარიშის მოსმენა. (ივლისი, დეკემბერი)
7. ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მიმდინარე ანგარიშის მოსმენა. (ივლისი- დეკემბერი)
8. 2020 წელში რგპ ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა. (მარტი-ნოემბერი)
9. ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა. (წლის განმავლობაში)
10. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა. (წლის განმავლობაში)
11. 2021 წელს განსახორციელებელი პროექტების შერჩევა. (ნოემბერი-დეკემბერი)
12. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.(ნოემბერი -დეკემბერი)

აქედან განხილულია შემდეგი საკითხები. კერძოდ:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2020 წლის სამუშაო გემის განხილვა-დამტკიცება. (იანვარი)
2. ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. (თებერვალი)
3. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების განხილვა. (თებერვალი - მაისი)
4. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა. (მარტი- აპრილი)

ხოლო დანარჩენი საკითხები ექვემდებარება წლის მანძილზე განხილვას.

საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 6 თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა 7 კომისიის სხდომა სადაც განხილული არის 11 საკითხი.

კომისიის სხდომების რაოდენობა მეტი იქნებოდა, რომ არა პანდემიის გამო შექმნილი ვითარება.

კომისიის სხდომაზე განხილული 11 საკითხიდან საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 9 საკითხი და მირებული იქნა 9 განკარგულება.

კომისიას განსახილველად დაეწერა ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბზვანის „ბაძგის უბნის“ მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას, კერძოდ საავტომობილო გზის პრობლემა. საკითხი შესწავლილი იქნა ადგილზე და მოსახლეობას გაეცა კომპეტენტური პასუხი (მომზადებულია აღნიშნული გზის პროექტი) .

კომისია შედგება 13 წევრისგან, რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან კომისიის სხდომებს.